

**სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“  
აცხადებს ვაკანსიას საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში  
ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მოქალაქეობა“ მასწავლებლის პოზიციაზე**

**სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისა და კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად;

**თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება:** სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების ტარიფის შესაბამისად;

**სამუშაო ადგილი:** სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“;

**მის:** ქ.თბილისი, გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა (V და VI მ/რ შორის);

**ვაკანტური ადგილის რაოდენობა:** 1;

**განაცხადების წარდგენის ვადა:** 09.09.2019 – 20.09.2019.

**მასწავლებლობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოთხოვნას:**

- ზოგადი განათლების საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე საგნების - „ისტორია“ და „სამოქალაქო განათლება“ - სწავლების სამწლიანი გამოცდილება;
- საგნობრივი გამოცდით დადასტურებული ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლის კვალიფიკაცია (თუკი საგნობრივი გამოცდა მხოლოდ ისტორიაშია ჩაბარებული, სავალდებულოა გადამზადება სამოქალაქო განათლებაში);
- ბაკალავრი სპეციალობით „ისტორია“ (მასწავლებლობის უფლებით - გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა/პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი; სხვა შემთხვევაში, პედაგოგიური კურსის გავლა სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს) და გადამზადების კურსი სამოქალაქო განათლებაში;
- მაგისტრი სპეციალობით „ისტორია“ (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკასა და სამოქალაქო განათლებაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს);
- ისტორიის/სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი (სწავლების გამოცდილების არქონის შემთხვევაში, პედაგოგიკაში გადამზადება სავალდებულოა სწავლების პირველივე წელს).

**მოვალეობები:**

- პროფესიული სტუდენტების სწავლება მოდულით, „მოქალაქეობა“ განსაზღვრული თემატიკის შესაბამისად;
- კალენდარული გეგმის შედგენა სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და განხორციელება;
- საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებითი შეფასების განხორციელება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის მოდიფიცირება/აკომოდირება;
- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა და სხვ.

## წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- CV;
- 2 ფოტო (3X4);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- კვალიფიკაციის/შესაბამისი პროფილით მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- საგნობრივი გამოცდით დადასტურებული ისტორიის/სამოქალაქო განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში, დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მასწავლებლობის უფლების მოპოვების 60 კრედიტიანი პროგრამის ან პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსის გავლის შემთხვევაში, დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მოდულის, „მოქალაქეობა“ განხორციელების ხედვის/კონცეფციის წარმოდგენა.

## კონკურსის ეტაპები:

- საბუთების გადარჩევა;
- გასაუბრება.

საკონკურსო განაცხადს თან ერთვის მოდულის, „მოქალაქეობა“ ელექტრონული (word) და გაიდის/გზამკვლევის (zip) ვერსიები.

საბუთების მიღება იწარმოებს შემდეგ ელ.მისამართებზე: [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge); [profldaniedu@gmail.com](mailto:profldaniedu@gmail.com)

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“, მის: ქ.თბილისი, გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა (V და VI მ/რ შორის).

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ საკონტაქტო ნომრებზე:

2 14 03 14; 2 14 03 15; 570 503 001.